თემატური ჯგუფი - „ხარისხის მართვა პროფესიულ განათლებაში"

თემატური ჯგუფის სხდომის ოქმი №12

29 თებერვალი, 2012
თბილისი

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

თარიღი	**ადგილი**	**დასაწყისი**	**დასასრული**
29 თებერვალი, 2012	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	16:00	17:00

დღის წესრიგი
1. დღის წესრიგის განხილვა
2. წინა სხდომის ოქმის დამტკიცება
3. არაფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა
4. სახელმწიფო პროფესიული და საზოგადოებრივი კოლეჯების მენეჯერებისა და შიდა შემფასებლებისათვის ხარისხის მართვაზე ჩატარებული ტრენინგის შედეგების განხილვა
5. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შესაძლებლობების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შედეგების განხილვა
6. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხის უზრუნველყოფის არსებული მექანიზმების შესასწავლი კითხვარის განხილვა
7. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების არსებული პოლიტიკის შესწავლის თაობაზე

მონაწილეები			
სახელი, გვარი	**დაწესებულება, თანამდებობა**	**ელექტრონული ფოსტა, ტელეფონი**	**სტატუსი**

მარინა ჟვანია	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის უფროსი	marina.zhvania@eqe.ge 577 27 88 41	წევრი
კონსტანტინე ჩოკორაია	სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი	kote.chokoraia@eqe.ge 577 27 88 83	წევრი
ლალი შაიშმელაშვილი	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის უფროსის მოადგილე	Lali.shaishmelashvili@eqe.ge 577 27 88 49	წევრი
ქეთევან ფანჩულიძე	სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის საგანმანათლებლო პროგრამების სამმართველოს უფროსი	k.panchulidze@eqe.ge 577 27 88 43	მონაწილე

ნანი დალაქიშვილი	სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის სპეციალისტი	nani.dalakishvili@eqe.ge 577 17 55 77	წევრი
ლალი ღოღელიანი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დეპარტამენტის უფროსი, პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი	lali_gtu@gtu.ge 599 70 44 99	წევრი
ანა მჭედლიშვილი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, პროფესიული და ინკლუზიური განათლების განვითარების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი	a.mchedlishvili@mes.gov.ge 577 15 33 05	წევრი
ანი ქიტიაშვილი	ETF პროექტის - ”პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება საქართველოში” - ეროვნული კოორდინატორი	kitiashvili@yahoo.com 577 53 00 63	წევრი

მაკა კორძაძე	სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის სპეციალისტი	Maka.kordzadze@eqe.ge 577 27 88 21	წევრი
მაია ჩიხლაძე	საზოგადოებრივი კოლეჯი ”პანაცეა”/დირექტორის მოადგილე	chikhladzemaia@yahoo.com 577747444	წევრი
ნინო ჟვანია	სსიპ-ილიას უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი	Nino,zhvania@iliauni.edu.ge 577 55 64 88	წევრი
მათე ტაკიძე	თბილისის ტურიზმის პროფესიული კოლეჯი „იკაროსი“, დირექტორი	takidze@rambler.ru 577768866	წევრი
გია ტარიელაძე	სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე	Gia_tarieladze@yahoo.com 577 17 33 07	მონაწილე

ნინო კოპალეიშვილი	სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს უფროსი	nkopaleishvili@yahoo.com 577 15 33 01	მონაწილე

შედეგები/კომენტარები/წინადადებები

1. **დღის წესრიგის განხილვა**

<u>**დასკვნები და ქმედებები:**</u>

დამტკიცდეს სხდომის დღის წესრიგი დამატებების გარეშე

2. **წინა სხდომის ოქმის (ოქმი №11. 26.01.2012) დამტკიცება**

<u>**დასკვნები და ქმედებები:**</u>

დამტკიცდეს წინა სხდომის ოქმი - **ოქმი თან ერთვის**

3. **არაფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა**

<u>**რეზიუმე:**</u>

მარინა ჟვანიამ წარმოადგინა ინფორმაცია, რომ 2011 წლის თებერვალში დამტკიცდა არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობები წესი (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №8/ნ. 3.02.2011), ამ ეტაპზე მიმდინარეობს რეკომენდაციების შემუშავება არაფორმალური განათლების აღიარების პროცედურების თაობაზე. ამ დოკუმენტის შესამუშავებლად გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრები საჯარო და კერძო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან, სადაც მათ მიერ წარმოდგენილ იქნა დაწესებულებებში არსებული გამოცდილება არაფორმალური განათლების აღიარების წესებისა და პროცედურების თაობაზე. ამ გამოცდილების გათვალისწინებით ცენტრში შემუშავდა არაფორმალური განათლების აღიარების პროცედურების დოკუმენტის და არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების თვითშეფასების კითხვარის სამუშაო ვერსიები, რომელიც განიხილება დაინტერესებულ პირთა შეხვედრებზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენელთა ტრენინგზე და საბოლოო სახის მიღების შემდეგ რეკომენდაციების სახით დაეგზავნება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს. **(დოკუმენტების სამუშაო ვერსიები თან ერთვის).**

<u>**შენიშვნები:**</u>

გია ტარიელაძემ დამსწრეებს დეტალურად გააცნო მომზადებული დოკუმენტები და აღნიშნა, რომ ამ დოკუმენტებში აისახება არაფორმალური განათლების

აღიარების პროცედურების ზოგადი ჩარჩო, საბოლოო დოკუმენტი რეკომენდაციების სახით დაეგზავნება საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რის შემდეგაც დაწესებულებების მიერ დეტალურად უნდა აღიწეროს პროცედურები სპეციალობების მიხედვით. აქვე აღინიშნა, რომ რეკომენდაციების მიღებამდე სავარაუდოდ მოხდება ცვლილებების შეტანა არაფორმალური განათლების აღიარების პროცედურისა და წესის დებულებაში (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №8/ნ. 03.02.2011), ასევე პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის წესში.

<u>დასკვნები და ქმედებები:</u>

- შემუშავებული დოკუმენტების სამუშაო ვერსიები დაეგზავნოს დაინტერესებულ პირებს (თემატური ჯგუფის წევრები, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები, დამსაქმებლები, აღიარების პოტენციური მსურველები) და მოეწყოს გაფართოებული განხილვა
- მომზადდეს სატრენინგო პროგრამა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პროცედურების რეკომენდაციებთან დაკავშირებით და ჩატარდეს ტრენინგი მარტის თვეში.

4. სახელმწიფო პროფესიული და საზოგადოებრივი კოლეჯების მენეჯერებისა და შიდა შემფასებლებისათვის ხარისხის მართვაზე ჩატარებული ტრენინგის შედეგების განხილვა.

<u>რეზიუმე:</u>

ლალი შაიმელაშვილმა დამსწრეებს გააცნო ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით, 2011 წლის 25-26 თებერვალს საჯარო სამართლის იურიდიული პირი პროფესიული და საზოგადოებრივი კოლეჯების დირექტორებისა და ხარისხის მენეჯერებისთვის, ასევე შიდა შემფასებლებისათვის ჩატარდა 2 დღიანი ტრენინგი თემაზე: ”ხარისხის

უზრუნველყოფა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში”.

მან გაამახვილა ყურადღება ტრენინგის მიზანზე, რომელიც შემდეგში მდგომარეობდა:

- მონაწილეების ინფორმირება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების, ხარისხის შეფასების მეთოდებისა და ინსტრუმენტების შესახებ;
- ინტერაქცია პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში შიდა შეფასების განხორციელების პროცედურების თაობაზე

ტრენინგში მონაწილეობდნენ: სსიპ პროფესიული და საზოგადოებრივი კოლეჯების წარმომადგენლები დირექტორები და ხარისხის მენეჯერები/შიდა შემფასებლები, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლები. ტრენინგს უძღვებოდნენ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლები. ლალი შაიშმელაშვილმა მონაწილეებს გააცნო სახელმწიფო პროფესიული და საზოგადოებრივი კოლეჯების მენეჯერებისა და შიდა შემფასებლებისათვის ხარისხის მართვაზე ჩატარებული ტრენინგის სრული ანგარიში **(ანგარიში ოქმს თან ერთვის).**

<u>**შენიშვნები:**</u>

მოსაზრებები გამოთქვეს: მარინა ჟვანიამ, ქეთი ფანჩულიძემ, რომელთა ინფორმაციით ტრენინგის მონაწილეებს დაურიგდათ ტრენინგის შეფასების ფურცლები, რისი ანალიზიც ასახულია ტრენინგის ანგარიშში. შეფასება ძირითადად დადებითი იყო, გამოიკვეთა ის ძირითადი საკითხები, რომელთა გარშემოც მონაწილეებს სურვილი აქვთ მიიღონ უფრო ვრცელი ინფორმაცია, ასეთ საკითხებს შორისაა: არაფორმალური განათლების აღიარების პროცედურები, სწავლის შედეგების განსაზღვრა და სტუდენტთა შეფასება ფორმალური განათლების პროცესში.

<u>**დასკვნები და ქმედებები:**</u>

- მოწონებულ იქნა სხდომაზე წარმოდგენილი ტრენინგის ანგარიში
- ანგარიში განთავსდეს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული

ცენტრის ვებ-გვერდზე

5. **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შესაძლებლობის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შედეგების განხილვა**

<u>რეზიუმე:</u>

მარინა ჟვანიამ წარმოადგინა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შესაძლებლობის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელებთან ორგანიზებული საინფორმაციო შეხვედრების თაობაზე ინფორმაცია და აღნიშნა, რომ უკვე შედგა შეხვედრები სამი რეგიონის (აჭარა, გურია, სამეგრელო-ზემო სვანეთი) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან, ძალიან დიდია ინტერესი იმ პროცედურების თაობაზე, რომლითაც დაწესებულებები მოიპოვებენ უფლებას დაიმატონ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, აქვე მარინა ჟვანიამ ისაუბრა იმ საკითხზეც, რომ ჯერ კიდევ არ არის გარკვეული ამ პროგრამების დაფინანსების საკითხი, რაც ასევე ძალიან დიდ ინტერესს იწვევს, პრობლემას წარმოადგენს მატერიალური ბაზის შექმნა და კვალიფიციური მასწავლებლის მოძიება, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში განსახორციელებელ პროგრამათა ნუსხაში სავარაუდოდ, შევა ისეთი პროგრამები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ძვირადღირებული მატერიალური ბაზის და მასალების საჭიროებასთან და ძირითადად კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით შემოიფარგლება (მაგ.: ბუღალტერი, ოფისის მენეჯერი, ინტერნეტ და ინფორმაციული ტექნოლოგი და სხვა). განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების სამსახური პროფესიული პროგრამების მომზადების საკითხებში კონსულტაციებს გაუწევს ყველა დაინტერესებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას.

(შეხვედრების განრიგი და თემატიკა თან ერთვის).

<u>**დასკვნები და ქმედებები:**</u>

- მოწონებულ იქნას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შესაძლებლობის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით ჩატარებული შეხვედრების თემატიკა
- თემატური ჯგუფის მომავალ სხდომაზე მოსმენილ იქნას სრული ანგარიში

6. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხის უზრუნველყოფის არსებული მექანიზმების შესასწავლი კითხვარის განხილვა

<u>**რეზიუმე:**</u>

მარინა ჟვანიამ დამსწრეებს გააცნო კითხვარი, რომელიც ხელს შეუწყობს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხის უზრუნველყოფის მდგომარეობის შესწავლას, კითხვარში ძირითადად ასახულია ის მიდგომები, რომელსაც თითოეული საგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს იმისათვის, რომ სრული ციკლი პროცესისა - ”დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გააუმჯობესე”- იყოს შეთანხმებული და გაზიარებული დაწესებულების ყველა თანამშრომლისთვის. მარინა ჟვანიას ინფორმაციით 2011 წლის 25-26 თებერვალს საჯარო სამართლის იურიდიული პირი პროფესიული და საზოგადოებრივი კოლეჯების დირექტორებისა და ხარისხის მენეჯერებისთვის, ასევე შიდა შემფასებლებისათვის ჩატარებულ ტრენინგზე მონაწილეებს დაურიგდათ თემატური ჯგუფის სხდომაზე წარმოდგენილი **პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხის უზრუნველყოფის არსებული მექანიზმების შესასწავლი კითხვარი,** შევსებული კითხვარების ანალიზი მოსმენილ იქნება თემატური ჯგუფის სხდომაზე **(კითხვარი ოქმს თან ერთვის).**

<u>**შენიშვნები:**</u>

მოსაზრებები გამოთქვეს ლალი შაიშმელაშვილმა, ნინო კოპალეიშვილმა, მათი აზრით კითხვარი შესაძლებლობას იძლევა მიღებულ იქნას სრული ინფორმაცია პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხის არსებული მექანიზმების გამართულობის შესახებ.

<u>**დასკვნები და ქმედებები:**</u>

- გაანალიზდეს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხის უზრუნველყოფის არსებული მექანიზმების შესასწავლი შევსებული კითხვარები
- ანალიზი მოსმენილ იქნას თემატური ჯგუფის სხდომაზე

7. **ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების არსებული პოლიტიკის შესწავლის თაობაზე**

<u>**რეზიუმე:**</u>

მარინა ჟვანიამ მონაწილეებს გააცნო პროფესიული პროგრამების მომზადების დღევანდელი პოლიტიკა, რომელიც საკანონმდებლო ჩარჩოს ეფუძნება, კერძოდ 2010 წლის 1 სექტემბერს ამოქმედდა საქართველოს კანონი ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ” და ძალაში შევიდა „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებები, რომლის მიხედვითაც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია პრაქტიკული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების გამომუშავებაზე და სრულდება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებითა და მისი დამადასტურებელი პროფესიული დიპლომის გაცემით. პროგრამა აერთიანებს კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელ სასწავლო კურსებს/მოდულებს. მასში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის დატვირთვა კრედიტებში, სწავლების მეთოდები და შეფასების ფორმები; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის საფუძველია პროფესიული სტანდარტი, რომელსაც პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოზე დაყრდნობით, პროფესიული ასოციაციებისა და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების მონაწილეობით შეიმუშავებს და ამტკიცებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. 2010 წლის სექტემბერ-ნოემბერში ცენტრის მიერ მომზადდა და

დარგობრივ სამიტებზე განხილვის შემდეგ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაამტკიცა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო (განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №120/ნ. 10.12.2010). ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შემადგენელი პროფესიული კვალიფიკაციების ჩარჩოს საფუძველზე, დაინტერესებული ორგანიზაციების მიერ მომზადდა პროფესიული სტანდარტები, დარგობრივი საბჭოების სხდომებსა და დაინტერესებულ პირთა (პროფესიული ასოციაციების/კავშირების, დამსაქმებელთა, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, დარგობრივი უწყებების წამომადგენლები) სამიტებზე განხილვის შემდეგ განათლების ხარისხის ეროვნულმა ცენტრმა 2010-2011წლებში დაამტკიცა ბიზნესის ადმინისტრირების, ჯანდაცვის, აგრარული, საინჟინრო, სახელოვნებო, საბუნებუსმეტყველო მიმართულებების 226 პროფესიული სტანდარტი. 2011 წლის თებერვალში განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დაამტკიცა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშებისა და არაფორმალური განათლების აღიარების წესები, ხოლო ცენტრში მიმდინარეობდა მუდმივი კონსულტაციები პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული პროფესიული პროგრამის სარეკომენდაციო ფორმის მიხედვით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების თაობაზე. აღნიშნული ფორმის თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები უნდა მომზადდეს პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, განისაზღვროს სასწავლო და პრაქტიკის კომპონენტისათვის განკუთვნილი საათების რაოდენობა (პროცენტული თანაფარდობა განისაზღვრება სტანდარტის მიხედვით), პროგრამის მიზანში უნდა განისაზღვროს პროფესიული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ფლობის დონე, ხოლო პროგრამის მოცულობა და სწავლის შედეგები უნდა აღიწეროს ”პროფესიული განათლების შესახებ” საქართველოს კანონის, პროფესიულ

კვალიფიკაციათა ჩარჩოს კონკრეტული საფეხურისა და პროფესიული სტანდარტის შესაბამისად. ასევე, საგანმანათლებლო პროგრამა უნდა მოიცავდეს ინფორმაციას სასწავლო გეგმის, პროფესიული სტუდენტის სასწავლო დატვირთვის, შეფასების და სწავლების მეთოდების, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შესახებ. პროგრამის მომზადებას მიეძღვნა რამდენიმე ტრენინგი, რის შემდეგაც, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი 93 საგანმანათლებლო დაწესებულების (69 პროფესიული და საზოგადოებრივი კოლეჯი, 5 ზოგადსაგანმანათლებლო, 19 უმაღლესი) მიერ, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2011 წლის განმავლობაში ავტორიზაციისა და თვითშეფასების პროცედურის ფარგლებში წარმოდგენილ იქნა ხუთივე საფეხურის 2000-მდე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

<u>რეკომენდაციები:</u>

თემატური ჯგუფის მომავალ სხდომაზე მოსმენილ იქნას ETF-ის პროექტის ”პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება საქართველოში” პროექტის ფარგლებში მომზადებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების არსებული პოლიტიკის სიტუაციური ანალიზი.

<u>შენიშვნები:</u>

მოსაზრებები გამოთქვეს ნანი დალაქიშვილმა, ლალი ღოღელიანმა, ლალი შაიშმელაშვილმა, მათი ინფორმაციით პროფესიულ სტანდარტზე ორიენტირებული პროგრამების მომზადება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაიწყო 2011 წლის თებერვლიდან, პროგრამების მომზადების პარალელურად პროგრამების მომზადებაზე პასუხისმგებელი პირები განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციების მიხედვით გადიოდნენ

ტრენინგებს, ტრენინგებზე მიღებული გამოცდილება დაეხმარათ საგანმანათლებლო დაწესებულებებს/ხარისხის, პროგრამების მენეჯერებს თანდათან დაეხვეწათ ავტორიზაციის ან თვითშეფასების პროცედურებით განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრში წარმოსადგენი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

<u>დასკვნები და ქმედებები:</u>

- შემდეგ სხდომაზე მოსმენილ იქნას ETF-ის პროექტის ”პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება საქართველოში” ფარგლებში პროექტის ეროვნული კოორდინატორის მიერ მომზადებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების არსებული პოლიტიკის სიტუაციური ანალიზი.
- განხორციელდეს განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის ვებ-გვერდზე განთავსებული (http://www.nea.ge/old/Details.aspx?NewsID=6530) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დიზაინის სარეკომენდაციო ფორმის კორექტირება/ შევსება და საბოლოო ფორმა რეკომენდაციის სახით გამოქვეყნდეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებ-გვერდზე.

დანართი 1

არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება

(სამუშაო ვერსია)

1. **არსი და მიზანი**

სწავლა სიცოცხლის მაძილზე არ არის დაკავშირებული მხოლოდ ფორმალურ განათლებასთან: პროფესიული კომპეტენციების შეძენა შესაძლებელია როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ დონეზე. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება გულისხმობს არაფორმალური გზით შეძენილი პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოწმებასა და შესაბამისი კვალიფიკაციის დადასტურებას.

2. **დაშვების წინაპირობები**

არაფორმალური განათლების აღიარებისათვის მაძიებელი/კანდიდატი უნდა აკმაყოფლებდეს შემდეგ წინაპირობებს:

ა) არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მაძიებელს (შემდგომში - მაძიებელი)/არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების კანდიდატს (შემდგომში -კანდიდატი) დასრულებული აქვს ზოგადი განათლების საბაზო საფეხური;

(ალტერნატივა: კანდიდატი უნდა იყოს არა ნაკლებ 18 წლის და გააჩნდეს სულ მცირე საბაზო განათლება. აღნიშნული ასაკობრივი ზღვარი შესაძლოა განისაზღვროს იქედან გამომდინარე, რომ საქართველოში საბაზო განათლება სავალდებულოა. შესაბამისად, მოსწავლე სკოლას ტოვებს 15 წლის ასაკში. ნებისმიერ სფეროში პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად კი საჭიროა გარკვეული სამუშაო ან სხვა ტიპის გამოცდილება, რომელიც დროს მოითხოვს);

ბ) მაძიებელი/კანდიდატი ფლობს იმ პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტის ოდენობის ხანგრძლივობის პროფესიულ გამოცდილებას, რომლის მიზნებისთვისაც მას სურს არაფორმალური განათლების აღიარება (მაგ., მებაღის II საფეხურის პროფესიული სტანდარტი ითვალისწინებს პრაქტიკულ კომპონენტს 40%-ის ოდენობით. იმის მიხედვით, თუ რა დრო ესაჭიროება დაწესებულებას ამ პრაქტიკული კომპონენტის სწავლებისათვის (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანების მიხედვით), პრაქტიკის დასადასტურებლად

შესაძლებელია განისაზღვროს ამავე ხანგრძლივობის პროფესიული გამოცდილების დამადასტურებული ცნობის წარმოდგენა მაძიებლის/კანდიდატის მიერ (სამუშაო ადგილიდან სერთიფიკატი ან არაფორმალური პროფესიული პრაქტიკული კომპეტენციების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი).

3. ინფორმირება და კონსულტირება

3.1 მაძიებელი/კანდიდატი არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მიზნით მიმართავს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც ახორციელებს მისთვის სასურველ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. ინფორმირება და კონსულტირება მნიშვნელოვანი ეტაპია არაფორმალური განათლების აღიარების პროცესში. მაძიებელი/კანდიდატი არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების კონსულტანტისაგან (შემდგომში კონსულტანტი) იღებს დეტალურ ინფორმაციას არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების წესებისა და პირობების შესახებ;

3.2 კონსულტანტის როლი მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლების აღიარების პროცესში. ის არა მარტო ინფორმაციას აწვდის მაძიებელს/კანდიდატს, არამედ ეხმარება მას განსაზღვროს საკუთარი პროფესიული გამოცდილება, კომპეტენციები და დაადასტუროს ისინი შესაბამისი დოკუმენტებით. ამგვარი საქმიანობა მოითხოვს შესაბამის უნარებს. სსიპ-ებში ამ ფუნქციების დაკისრება შესაძლებელია პროფორიენტაციის (პროფესიული მიმართულების) სპეციალისტებზე. ნებისმიერ შემთხვევაში I, II და III საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებას უნდა ჰყავდეს კონსულტაციის გაწევაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც იქნება ამ დარგის შესაბამისი მომზადების სპეციალისტი;

3.3 ინფორმირებისა და კონსულტაციის ეტაპზე ყურადღება მახვილდება თვითშეფასების კითხვარის შევსების წესზე. მაძიებელს/კანდიდატს განემარტება, თუ რამდენად მნიშვნელოვანია თვითშეფასების კითხვარში რეალობასთან ახლოს მყოფი ინფორმაციის ასახვა. მაძიებლის/კანდიდატის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარის განხილვის შედეგად წყდება მისი გამოცდაზე დაშვების საკითხი და ასევე განისაზღვრება, თუ რომელი პროფესიული საფეხურის მიზნებისთვის უნდა მოხდეს მის მიერ არაფორმალური გზით შეძენილი პროფესიული განათლების აღიარება;

3.4 მაძიებელს/კანდიდატს ინფორმირება-კონსულტირების ეტაპზე უყალიბდება ზოგადი წარმოდეგნა, თუ რა სახის უნარ-ჩვევებს უნდა ფლობდეს ის არაფორმალური გზით მიღებული განათლების აღიარებისათვის,

აკმაყოფილებს თუ არა გამოცდაზე დაშვების წინაპირობებს და უნდა მიიღოს თუ არა მონაწილეობა არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების შემდგომ პროცესებში.

4. არაფორმალურად შეძენილი პროფესიული კომპეტენციების აღიარების ეტაპები

1. კანდიდატის მიერ თვითშეფასების წარმოდგენა

1.1 მაძიებელი/კანდიდატი წარმოადგენს არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების თვითშეფასების კითხვარს, სადაც თავმოყრილია მონაცემები კანდიდატის მიერ არაფორმალურად შეძენილი პროფესიული განათლების შესახებ;

1.2 არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების თვითშეფასების კითხვარის შესავსებად კონსულტაციის შემდეგ მაძიებელს/კანდიდატს ეძლევა 15 სამუშაო დღე;

1.3 არასრული პროფესიული განათლების აღიარების თვითშეფასების კითხვარი არ წარმოადგენს არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პროცესის შეწყვეტის საფუძველს;

1.4 თვითშეფასების კითვარის საშუალებას იძლევა დადგინდეს:

ა) აკმაყოფილებს თუ არა მაძიებელი/კანდიდატი გამოცდაზე დაშვების წინაპირობებს. კერძოდ, გააჩნია თუ არა მას პრაქტიკული გამოცდილების სტაჟი და და აქვს თუ არა საბაზო განათლება;

ბ) თვითშეფასების კითხვარის მეშვეობით ხდება კანდიდატის მიერ არაფორმალური გზით მიღებული განათლების შესაბამისობის დადგენა შესაბამისი პროფესიული სტანდარტის კვალიფიკაციის აღმწერთან. კერძოდ, მისი კომპეტენციების შესაბამისობის დადასტურება შესაბამისი პროფესიული სტანდარტის მე-3 სვეტით განსაზღვრულ კრიტერიუმებთან. ამ მიზნით კანდიდატის/მაძიებლის თვითშეფასების კითხვარში თითოეული კრიტერიუმის (ცოდნა და გაცნობიერება; ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი; დასკვნის უნარი; კომუნიკაციის უნარი, სწავლის უნარი; ღირებულებები) შესამოწმებლად ვარიანტებად მიეთითება ასაღიარებელი პროფესიული სტანდარტის კვალიფიკაციის აღმწერიდან პირველი, მეორე და მესამე საფეხურების (ასეთის არსებობის შემთვევაში) კვალიფიკაციის აღმწერის მე-3 სვეტით დადგენილი კომპეტენციები (იხ. თვითშეფასების კითხვარის მე-3 თავი).

2. შეფასების პროცედურა

2.1 თვითშეფასების კითვარის განხილვა და მისი სამართლებრივი შედეგები.

2.1.1 დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი (დირექტორი, დეკანი და ა.შ) მაძიებლის/კანდიდატის მიერ თვითშეფასების კითხვარის წარმოდგენიდან 3 დღის ვადაში გამოსცემს სამართლებრივ აქტს, სადაც მიეთითება, აკმაყოფილებს თუ არა მაძიებელი/კანდიდატი არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებისთვის დადგენილ წინაპირობებს. კერძოდ: ფლობს თუ არა საბაზო განათლებას და აქვს თუ არა საკმარისი პროფესიული სტაჟი (დასაშვებობის ეტაპი), რის შედეგადაც ის იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას: ა) მაძიებლის გამოცდაზე დაშვების შესახებ; ბ) მაძიებლის გამოცდაზე დაშვების უარის თქმის შესახებ;
2.1.2 თუკი მიღებულ იქნება გადაწყვეტილება მაძიებლის გამოცდაზე დაშვების შესახებ, დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სამართლებრივი აქტის საფუძველზე იქმნება არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების საგამოცდო კომისია. დაწესებულება თავისუფალია კომისიის წევრების განსაზღვრაში, თუმცა, აუცილებელია კომისიის ერთ-ერთი წევრი იყოს დარგის პეციალისტი. კომისიაში შეიძლება ასევე იყოს კონსულტანტი და შესაბამისი პროფესიის დამსაქმებლებიც;
2.1.3 კომისია მისი შექმნიდან 5 დღის ვადაში თვითშეფასების კითხვარისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად იღებს გადაწყვეტილებას, თუ რომელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საფეხურზე უნდა მოხდეს მაძიებლის გამოცდაზე დაშვება.

2.2. გამოცდა

2.1.4 გამოცდის შედეგად შესაძლებელი უნდა იყოს შესაბამისი პროფესიული სტანდარტით დადგენილი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ფლობის დადასტურება. აქედან გამომდინარე, გამოცდა უნდა შეიცავდეს 6 საკითხს, რომლის მეშვეობითაც მოხდება სტანდარტით დადგენილი ექვსივე კრიტერიუმის შემოწმება;
2.1.5 გამოცდის შედეგად გადამოწმდება შესაბამისი პროფესიული საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერის მესამე სვეტში მოცემული საკითხების ფლობა კანდიდატის მიერ;
2.1.6 გამოცდა შეიძლება ჩატარდეს წერილობით (ტესტები, კაზუსი, ან თეორიული ნაწილი) ან გასაუბრების ფორმით. დამატებით შესაძლებელია დაწესდეს გამოცდა პრქტიკის კომპონენტში (დაწესებულების, ან დამსაქმებლის

ბაზაზე), რომლის მეშვეობითაც, შესაძლებელი იქნება მაძიებლის მიერ პრაქტიკული კომპეტენციების ფლობის შემოწმება;
2.1.7 გამოცდის შედეგად დგინდება, პროფესიული სტანდარტით დადგენილი 6 კომპონენტიდან თუ რომელს ფლობს მაძიებელი/კანდიდატი. საგამოცდო კომისია, მაძიებელს/კანდიდატს უღიარებს შესაბამისი სტანდარტით დადგენილი კვალიფიკაციის იმ საგანს, რომლის ფლობაც დადასტურდება კანდიდატის მიერ;
2.1.8 მაძიებლის/კანდიდატის მიერ საგანის ფლობა დასტურდება, თუკი დაწესებულების მიერ დადგენილი სწავლის შედეგების ცხრილის გათვალისწინებით, კანდიდატი მიიღებს დადებით შეფასებას იმ კომპონენტებში, რომლებიც იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მიღწეულ იქნეს ამ კონკრეტული საგნის სწავლების შედეგი (მაგალითად: მასაჟისტის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის ფარგლებში ისწავლება საგანი პროფესიული ეთიკა. იმისთვის, რომ გამოცდის შედეგად მოხდეს ამ საგნის აღიარება, საგამოცდო კომისიამ დაწესებულების მიერ შედგენილი სწავლის შედეგების რუკის მიხედვით უნდა გადაამოწმოს, თუ რომელი კომპონენტების ფლობის შედეგად არის შესაძლებელი ამ საგნით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევა. მაგალითად, ამ საგნის (პროფესიული ეთიკა) სწავლის შედეგებზე გასვლა შესაძლებელია, თუკი სტუდენტი აკმაყოფილებს ამ პროგრამისათვის საკვალიფიკაციო ჩარჩოთი დადგენილ კრიტერიუმებს: ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი და სწავლის უნარი. თუკი გამოცდის შედეგად მაძიებელი/კანდიდატი მიიღებს ამ კომპონენტებში დადებით შეფასებას, ეს ნიშნავს, რომ მის მიერ ამ საგნის სწავლის შედეგები მიღწეულია და ეს საგანი მას უნდა უღიარდეს);
2.1.9 თუკი გამოცდის შედეგად მაძიებელი/კანდიდატი, ერთ-ერთ ან ორივე კომპონენტში მიიღებს უარყოფითი შეფასებას, ეს ნიშნავს, რომ მის მიერ მიღწეული არ არის ამ საგნით გათვალისწინებული სწავლის შედეგები და ამ შემთხვევაში საგანის აღიარება არ მოხდება;
2.1.10 თუკი გამოცდის შედეგად საგამოცდო კომისიის მიერ უარყოფითად შეფასდება მაძიებლის/კანდიდატის მოთხოვნა არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებაზე და კომისია მიჩნევს, რომ ის აკმაყოფილებს უფრო დაბალი საფეხურის მოთხოვნებს, კანდიდატის სურვილის შემთხვევაში, საგამოცდო კომისია უფლებამოსილია მოახდინოს არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება უფრო დაბალი საფეხურის მიზნებისთვის (მაგალითად, თუკი თვითშეფასების კითხვარისა და კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, საგამოცდო კომისია მიიჩნევს, რომ მაძიებელი/კანდიდატი უნდა იქნეს დაშვებული შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის III საფეხურზე, ხოლო გამოცდის შედეგად აღმოჩნდება, რომ ის ვერ აკმაყოფილებს III საფეხურისთვის დადგენილ

მოთხოვნებს, მაგრამ მისი პროფესიული კომპეტეციები ადასტურებს II ან I პროფესიული საფეხურის მოთხოვნებს, კანდიდატის სურვილის შემთვევაში, კომისიის გადაწყვეტილებით მას შესაძლოა უღიარდეს შესაბამისი პროფესიული საფეხურის მიზნებისთვის არაფორმალური გზით მიღებული განათლება);

2.1.11 გამოცდის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებები, რა მიზნითაც, შესაძლოა მოხდეს მათთვის გამოცდის მეთოდების მოდიფიცირება (მაგ.,თეორიული გამოცდის ამოღება და მათთვის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება მხოლოდ მათი პრაქტიკული კომპეტენციების შემოწმების საფუძველზე. აქ აუცილებელია სპეციალური მასწავლებლის ჩართვა).

2.2 გადაწყვეტილების მიღება

2.2.1 არაფორმალური განათლების აღიარების, ან აღიარებაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საგამოცდო კომისია;

2.2.2 გადაწყვეტილების მიღებისას კომისია ხელმძღვანელობს გამოცდის შედეგებით;

2.2.3 გადაწყვეტილებაში მიეთითება ასაღიარებელი პროფესიული განათლების საგანმანათლებლო პროგრამიდან რომელი საგნები უღიარდა მაძიებელს/კანდიდატს და რომელი საგნები რჩება მას გასავლელი იმისათვის, რომ მიენიჭოს შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია. ამ შემთხვევაში მაძიებელი/კანდიდატი მოიპოვებს პროფესიული სტუდენტის სტატუსს და სწავლის გაგრძელების უფლებას შესაბამის საფეხურზე;

2.2.4 თუკი მაძიებელს/კანდიდატს არ უღიარდა არც ერთი საგანი, საგამოცდო კომისია უარს ეუბნება მას არაფორმალური გზით მიღებული განათლების აღიარებაზე;

2.2.5 თუკი გამოცდის შედეგად კანდიდატს სრულად უღიარდება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა საგანი, ამ შემთხვევაში დაწესებულება გასცემს შესაბამისი საფეხურის პროფესიულ დიპლომს;

2.2.6 გადაწყვეტილება მიიღება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

დანართი 2

თვითშეფასების კითხვარი

კბილის ტექნიკოსის I/II/III პროფესიული კვალიფიკაციის აღიარებისათვის

1. ინფორმაცია არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველი კანდიდატის შესახებ.

სხელი: ----------

გვარი: ----------

მისამართი:

(იურიდიული): ----------

(ფაქტობრტივი) ----------

პირადი №: ----------

პირადობის მოწმობის №: ----------

საკონტაქტო ინფორმაცია: ----------

1.1.პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება, სადაც კანდიდატს სურს არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება:

1.2.გთხოვთ მოუთითოთ, რომელის საფეხურის მიზნებისთვის გსურთ არაფორმალური გზით მიღებული განათლების აღიარება:

ა) პირველი ბ) მეორე გ) მესამე

2. ინფორმაცია კანდიდატის მიერ შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ფლობის შესახებ

2.1 გთხოვთ, აღწერეთ თუ რა გამოცდილებას ფლობთ კბილის ტექნიკოსის პროფესიაში

აღწერა:

.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....

2.2 გთხოვთ მიუთითეთ პერიოდი, რომლის განმავლობაშიც შეხება გაქვთ/გქონდათ ასაღიარებელ პროფესიულ კვალიფიკაციასთან მიმართებით.

აღწერა:

.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....

.....
.....

2.3 გაქვთ თუ არა რაიმე სახის დოკუმენტი (შრომითი ხელშეკრულებები, სამუშაოს აღწერები, პროფესიულ კონკურსზე მიღებული ჯილდოები/სიგელები, სერტიფიკატები, პროფესიული საქმიანობის ამსახველი ფოტო და ვიდეომასალა, არტეფაქტები მაგალითად, ხალიჩა, თექა და ა. შ), რომელიც დაადასტურებს თქვენს მიერ არაფორმალური გზით მიღებული პროფესიული განათლების ფაქტს. (დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, წარმოადგინოთ დანართის სახით)

.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....

2.4 გთხოვთ, მიუთითოთ დაძლეული გაქვთ თუ არა ზოგადი განათლების საბაზო საფეხური.

ა) დიახ ბ) არა

შენიშვნა: დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, წარმოადგინოთ საბაზო საფეხურის განათლების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი დანართის სახით.

3. კანდიდატის მიერ არაფორმალური გზით მიღებული განათლების შესაბამისობის დადგენა კბილის ტექნიკოსის I/II/III საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერთან

3.1 გთხოვთ მიუთითოთ, ჩამოთვლილთაგან რომელი პუნქტი შეესაბამება თქვენს მიერ არაფორმალური გზით მიღებული პროფესიული განათლების დონეს, ცოდნისა და გაცნობიერების კუთხით:

- ☐ ვიცნობ სატექნიკო ლაბორატორიის აღჭურვილობას, შემიძლია ანაბეჭდის გამდინარე წყლით და მარტივი ანტისეპტიკური ხსნარებით დამუშავება, ვიცი თაბაშირის მომზადებისა და გამოყენების წესები; შემიძლია სატექნიკო ლაბორატორიაში გამოყენებული ინსტრუმენტების პირველადი დამუშავება.
- ☐ ვფლობ ბიოლოგიური მეცნიერების ზოგად ცოდნას, ვიცი ადამიანის პირის ღრუს შემადგენელი ორგანოების ანატომიური აგებულება და ფუნქცია, შესწავლილი მაქვს როგორც ზედა, ასევე ქვედა ყბებზე კბილთა მწკრივები, შემიძლია მათი გამოცნობა ჯგუფობრიობის მიხედვით, ვიცი თითოეული კბილის ანატომია და მიკროსკოპული აგებულება.
- ☐ ვიცი საღეჭ-სამეტყველო აპარატის თანდაყოლილი და შეძენილი დეფექტები,
  დაზიანებები, დეფორმაციები; შემიძლია მოდელებზე მათი ამოცნობა, ორთოპედიული კონსტრუქციების შესაქმნელად გეგმის შედგენა მასალებისა და ტექნოლოგიების შერჩევით; ვიცი როგორც მოუხსნელი, ასევე მოსახსნელი ორთოპედიული პროთეზების დამზადება.

3.2. გთხოვთ მიუთითოთ, ჩამოთვლილთაგან რომელი პუნქტი შეესაბამება თქვენს მიერ არაფორმალური გზით მიღებული პროფესიული განათლების დონეს, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების კუთხით:

- ☐ ხელმძღვანელის ზედამხედველობით მარტივი არითმეტიკული ოპერაციის შესრულებით შემიძლია სათანადო შეფარდებებით მოვამზადო ხსნარი, შევურიო მას თაბაშირი და მოვზილო საჭირო კონსისტენციამდე; ასევე

შემიძლია განვსაზღვრო წყლის საჭირო ტემპერატურა და დავარბილო სტენსი; ტექნიკოსის მითითებით შემიძლია თაბაშირის სამუშაო მოდელიდან სატექნიკო დანით ზედმეტი მასის ჩამოჭრა, ალუმინის მავთულით უმარტივესი არტაშნის დამზადება და ა.შ.; შემიძლია დავიცვა თაბაშირის შენახვის წესი.

- შემიძლია საანაბეჭდო მასალის შესატყვისი მეთოდით მომზადება, ფანტომიდან ზომის აღება, მიღებული ანაბეჭდიდან თაბაშირით მოდელის ჩამოსხმა, მოდელიდან საჭირო კბილების ამოჭრა, სპირტქურისა და სატექნიკო ფითხის დახმარებით კბილების ცვილით მოდელირება მათთვის სასურველი ფორმის მისაცემად; შემიძლია საკუთარი სამუშაო გეგმის შედგენა და მისი შეთანხმება გუნდის სხვა წევრების სამუშაო გეგმასთან.

- შემიძლია კბილის გვირგვინების დეფექტების აღდგენა მოდელირებით და ცვილის შეცვლა სათანადო ორთოპედიული ტექნოლოგიებით, ნახევარგვირგვინებით, ვინირებით და მთლიანი გვირგვინებით. აღნიშნული პროცესისათვის ვიყენებ პლასტმასს, ფაიფურს, მეტალებსა და მათ კომბინაციებს, კბილების ნაწილობრივი ან მთლიანი დაკარგვის შემთხვევაში შემიძლია მოდელზე სიტუაციის შეფასება, სამუშაო გეგმის შემუშავება სათანადო მასალების შერჩევით და მოუხსნელი ხიდისებური, ნაწილობრივი ფირფიტოვანი ან მთლიანი ფირფიტოვანი ორთოპედიული პროთეზების დამზადება.

3.3. გთხოვთ მოუთითოთ, ჩამოთვლილთაგან რომელი პუნქტი შეესაბამება თქვენს მიერ არაფორმალური გზით მიღებული პროფესიული განათლების დონეს, დასკვნის გაკეთების უნარის კუთხით:

- ☐ შემიძლია თაბაშირის ან სხვა რომელიმე საანაბეჭდო მასალიდან მიღებული მასის საჭირო კონსისტენციის განსაზღვრა, პლასტმასების ტექნოლოგიური პროცესისათვის თვალყურის დევნება და დანადგარის ოპტიმალურ დროში გამორთვა, გაციების რეჟიმის დაცვა.
- ☐ კბილების შეძენილი ან თანდაყოლილი დეფექტების შემთხვევაში შემიძლია გარკვეული დამოუკიდებლობით გავაკეთო დასკვნა და ცვილით მათი ფორმის აღსადგენად მივმართო შესაბამის მეთოდს. კბილის ტექნიკოსის შენიშვნის გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში შემიძლია საკუთარი პოზიციის დაცვა.
- ☐ სამუშაო მოდელზე შემიძლია სიტუაციის შეფასება, დასკვნის გაკეთება, სხვადასხვა ვარიანტების განხილვა და საბოლოო გეგმის შერჩევა, მანიპულაციის ჩატარება. პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში განსხვავებულ სიტუაციებში შეუძლია უცხო ენაზე პროფესიული ინფორმაციის მოძიება და ამ ინფორმაციის გააზრება, კომპიუტერული პროგრამებით სარგებლობა დოკუმენტაციის წარმოებისათვის.

3.4. გთხოვთ მიუთითოთ, ჩამოთვლილთაგან რომელი პუნქტი შეესაბამება თქვენს მიერ არაფორმალური გზით მიღებული პროფესიული განათლების დონეს, კომუნიკაციის უნარის ქონის კუთხით:

- ☐ პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში შემიძლია აუცილებელი და საჭირო ინფორმაციის, შინაგანაწესის, ხელშეკრულების, მასალის გამოყენების მარტივი მეთოდის, საანაბეჭდო მასალების შენახვის წესებისა და მსგავსი ინფორმაციის წაკითხვა და გააზრება, მარტივი ტექსტის გაგება უცხო ენაზე, აუცილებლობის შემთხვევაში სამუშაოს შესასრულებლად ვიყენებ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს

- ☐ პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში შემიძლია მოვიძიო გამოსაყენებელი ინფორმაცია – მაგალითად საანაბეჭდო მასალების მოძიების და მათ მეთოდებში გარკვევის თვალთახედვით, მათ შორის უცხო ენაზე. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს ვიყენებ ჩემს მიერ შესასრულებელი სამუშაო პროცესისათვისაც, ნორმალურად წავრმართავ ურთიერთობებს თანაგუნდელებსა და კბილის ტექნიკოსთან.

- ☐ პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში განსხვავებულ სიტუაციებში შემიძლია უცხო ენაზე პროფესიული ინფორმაციის მოძიება და ამ ინფორმაციის გააზრება, კომპიუტერული პროგრამებით სარგებლობა დოკუმენტაციის წარმოებისათვის.

3.5. გთხოვთ მიუთითოთ, ჩამოთვლილთაგან რომელი პუნქტი შეესაბამება თქვენს მიერ არაფორმალური გზით მიღებული პროფესიული განათლების დონეს, სწავლების უნარის ქონის კუთხით:

- ☐ შემიძლია მითითებულ ლიტერატურაში მითითებული გვერდების გამოყენებით სწავლა. სხვისი დახმარების შემთხვევაში შეიძლება განვსაზღვრო შემდგომ საფეხურზე სწავლა.

- ☐ შემიძლია: დასახელებული წყაროს გამოყენება ინფორმაციის მოსაპოვებლად, შემდგომში სწავლის გაგრძელება და საბოლოო გადაწყვეტილებას მიღება სხვათა კონსულტაციით.

- ☐ შემიძლია წყაროების მოძიება, დამუშავება შემდგომი სწავლის დაგეგმვა, შეძენილი ცოდნით შემიძლია შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების უზრუნველყოფა.

3.6. გთხოვთ მიუთითოთ, ჩამოთვლილთაგან რომელი პუნქტი შეესაბამება თქვენს მიერ არაფორმალური გზით მიღებული პროფესიული განათლების დონეს ღირებულებების კუთხით:

- ☐ მაქვს პასუხისმგებლობის გრძნობა დაკისრებული სამუშაოს მიმართ. ვიცავ სანიტარიულ ნორმებს, სატექნიკო ლაბორატორიის პერსონალთან მაქვს კეთილგანწყობილი ურთიერთობა.

- ☐ ვიცავ თანაგუნდელებთან და უფროს კოლეგებთან ურთიერთობის ნორმებს, გულისყურით ვეკიდები ნებისმიერ დავალებას, განსხვავებულ სიტუაციებში არ ვკარგავ კეთილგანწყობას.

- ☐ კარგად ვიცი გუნდის წევრებთან, კოლეგებთან, ხელმძღვანელებსა და საზოგადოებასთან ურთიერთობების ეთიკური ნორმები, ვიცავ ამ ნორმებს, კრიტიკულ სიტუაციაში ვმოქმედებ შესაბამისად.

4. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

....

(შევსების ადგილი) თარიღი

დანართი 3

საინფორმაციო შეხვედრები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან

განსახილველი თემები:

- **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაძლებლობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში**
- **პროფესიული კვალიფიკაციების ჩარჩო და პროფესიული სტანდარტები**
- **ზოგადი განათლების აღიარება**

შეხვედრების განრიგი:

2012 წლის **2 მარტი**, 11:00 საათი, **ოზურგეთის №2 საჯარო სკოლა** (ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ №9), **გურიის რეგიონის** საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან.

2012 წლის **3 მარტი,** 11:00 საათი, **ბათუმის № 9 საჯარო სკოლა** (ბათუმი, ტაბიძის ქ.№13), **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის** საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან.

2012 წლის **4 მარტი,** 12:00 საათი, **ზუგდიდის №1 საჯარო სკოლაში** (ზუგდიდი, დავით აღმაშენებლის ქ. №1) **სამეგრელოსა და ზემო სვანეთის რეგიონის** საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან.

2012 წლის **10 მარტი,** 11:00 საათი **ახალციხის სასწავლო უნივერსიტეტი** (ახალციხე, რუსთაველის ქ. №106, უნივერსიტეტის I კორპუსი) **სამცხე ჯავახეთის რეგიონის** საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან.

2012 წლის **20 მარტი,** 15:00 საათი **თბილისის № 1 საჯარო სკოლა** (თბილისი, შოთა რუსთაველის გამზ. №10), **ძველი თბილისის, ვაკე - საბურთალოს, დიდუბე - ჩუღურეთის და გლდანი - ნაძალადევის რაიონების** საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან.

2012 წლის **24 მარტი,** 11:00 საათი, **მარნეულის №6 საჯარო სკოლა** (მარნეული, ნიკო მუსხელიშვილის ქ. №1), **მარნეულის, ბოლნისის, დმანისისა და წალკის რაიონების** საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან.

2012 წლის **25 მარტი,** 11:00 საათი, **თბილისის №87 საჯარო სკოლა** (თბილისი, ქეთევან წამებულის ქ.№90/2) **ისანი - სამგორის, რუსთავისა და გარდაბანის რაიონების** საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან.

2012 წლის **28 მარტი,** 11:00 საათი, **გორის №3 საჯარო სკოლა** (გორი, დ. ამილახვრის ქ. №26), **შიდა ქართლის რეგიონის** საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან.

2012 წლის **31 მარტი,** 11:00 საათი **თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი** (თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. №1, მეორე სართული) **კახეთის რეგიონის** საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან.

2012 წლის **3 აპრილი,** 11:00 საათი, **მცხეთის №1 საჯარო სკოლა** (მცხეთა, აღმაშენებლის ქ. №73) **მცხეთა-მთიანეთის რეგიონის** საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან.

2012 წლის **27 აპრილი,** 11:00 საათი **ამბროლაურის № 1 საჯარო სკოლა** (ამბროლაური, ვანო კობახიძის №2), **ამბროლაურისა და ონის რაიონების** საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან.

2012 წლის **28 აპრილი,** 11:00 საათი **ცაგერის №1 საჯარო სკოლა** (ცაგერი, თამარ მეფის ქ №12), **ცაგერისა და ლენტეხის რაიონების** საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან.

2012 წლის **29 აპრილი,** 11:00 საათი **ქუთაისის №1 საჯარო სკოლაში** (ქუთაისი, ცისფერყანწელთა ქ. №6), **იმერეთის რეგიონის** საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან.

დანართი 4

ტრენინგი თემაზე: ”ხარისხის უზრუნველყოფა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში“

ანგარიში

25-26 თებერვალი, 2012 წელი

თბილისი

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახური

1. ***აქტივობის დასახელება***

ტრენინგი თემაზე: ხარისხის უზრუნველყოფა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში

2. ***ჩატარების პერიოდი/თარიღი***

25-26 თებერვალი, 2012 წელი

3. ***ჩატარების ადგილი***

თბილისი, განათლების ხარიხის განვითარების ეროვნული ცენტრი

4. ***აქტივობის ორგანიზატორი/ფასილიტატორი დაწესებულება/პირი***

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

5. ***მხარდამჭერი დაწესებულებები/პირები***
6. ***მიზნობრივი ჯგუფი/ჯგუფები***

სახელმწიფო პროფესიული და საზოგადოებრივი კოლეჯების წარმომადგენლები/მენეჯერები, ხარისხის მენეჯერები და შიდა შემფასებლები

7. აქტივობის მიზანი

მონაწილეებმა გაიღრმავონ ცოდნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შესახებ;

მონაწილეებმა შეძლონ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში შიდა შეფასების უფრო ეფექტურად განხორციელება

8. აქტივობის შედეგი/შედეგები

ტრენინგზე შეძენილი ცოდნისა და უნარების გამოყენებით სახელმწიფო პროფესიული და საზოგადოებრივი კოლეჯების წარმომადგენლები შეძლებენ მისიაზე ორიენტირებული სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის შედგენას; თვითშეფასების პროცესის მართვას; ხარისხის შეფასების მეთოდების შერჩევასა და გამოყენებას; თვითშეფასების ანგარიშის მომზადებას და შემდგომი განვითარების გეგმის პრიორიტეტული მიმართულებების დადგენას.

ტრენინგის შედეგად ორგანიზატორებმა გამოავლინეს ის საკითხები, რომლებზეც პროფესიული და საზოგადოებრივი კოლეჯების წარმომადგენლებს ესაჭიროებათ ცოდნის გაღრმავება.

აქტივობის დეტალური აღწერა

1. მონაწილეთა დასწრება

36 მონაწილე (დანართი - სია)

2. აქტივობის ფასილიტატორები/ხელმძღვანელები/ორგანიზატორები

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების სამმართველოს თანამშრომლები (დანართი -სია)

3. აქტივობის შინაარსისა და ძირითადი საკითხების აღწერა

ტრენინგის თემატიკა მოიცავდა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემასთან დაკავშირებულ საკითხებს. მონაწილეებმა ზოგადად განიხილეს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა და მისი შესაბამისობა საერთო ევროპულ ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოსთან; შიდა და გარე შეფასება, მათი სინთეზის აუცილებლობა და შეფასების ძირითადი პრინციპები. ცალკე იქნა განხილული გარე შეფასება და მისი სამართლებრივი საფუძვლები - ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩო, ავტორიზაციისა და

აკრედიტაციის სტანდარტები. ტრენინგზე დეტალურად იქნა განხილული შიდა შეფასების ევროპული მოდელი ”დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გააუმჯობესე”. მოდელში შემავალი ციკლის თითოეულ ფაზაზე მონაწილეებმა პრაქტიკული დავალებები შეასრულეს და საკუთარი დაწესებულებების მაგალითზე განიხილეს დაგეგმვის პროცესი, გამოყვეს პრიორიტეტული მიზნები და შეადგინეს სამაგალითო სამოქმედო გეგმა. განხორციელების ფაზასთან დაკავშირებით, განხილულ იქნა მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მექანიზმები და ინსტრუმენტები. მაგალითის სახით, მონაწილეებმა დეტალურად განიხილეს დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის მეთოდი. შეფასებისა და გაუმჯობესების ფაზებზე მონაწილეებმა შეასრულეს პრაქტიკული დავალებები, რასაც მოჰყვა პრეზენტაციები და დისკუსია.

ორდღიანი მუშაობის შემდეგ განსაკუთრებით სასარგებლო იყო უკვე პრაქტიკაში დანერგილი და კარგად აპრობირებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გაცნობა, რომელიც პრეზენტაციის სახით წარმოადგინა ბათუმის საზღვაო აკადემიის წარმომადგენელმა, ბატონმა აბდულ კახიძემ.

ტრენინგის მეთოდოლოგია მოიცავდა მინი-ლექციებს, პრეზენტაციებს, დისკუსიებს, ჯგუფში პრაქტიკული დავალებების შესრულებას, სიმულაციას.

4. მიზნის მიღწევის ხარისხი (გაზომვის ინსტრუმენტების მითითებით)

ტრენინგზე მონაწილეებმა გაიღრმავეს ცოდნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შესახებ, პრაქტიკული სავარჯიშოების შესრულების დროს შეძლეს პრიორიტეტული მიზნების გამოკვეთა და თვითშეფასების პროცესის დაგეგმვა, დავალებების დროში გაწერა, პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა, მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, საკუთარი დაწესებულების მაგალითებზე თვითშეფასების პროცესის გაანალიზება, შეფასება და გაუმჯობესების გზების განსაზღვრა.
მონაწილეთა თქმით, მათ საკმაოდ ბევრი ინფორმაცია მიიღეს ტრენინგზე, ტრენინგი დროულად და ეფექტურად ჩატარდა და ტრენინგზე მიღებული ინფორმაცია მათ დაეხმარებათ მომავალი საქმიანობის წარმართვაში. მონაწილეებმა საკუთარი მოსაზრებები დააფიქსირეს ტრენინგის შეფასების კითხვარში. (დანართი-ტრენინგის შეფასების კითხვარი)

5. ამოცანებისა და მიზნების მიღწევის ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორები

ტრენინგის მიზნების მიღწევას ხელი შეუწყო საინტერესოდ დაგეგმილმა პროგრამამ, რომელიც გაჯერებული იყო პრაქტიკული სავარჯიშოებით და

კვალიფიციურმა ფასილიტატორებმა. ხელისშემშლელი ფაქტორები არ დასახელებულა.

6. აქტივობის საერთო შეფასება და რეკომენდაციები

ტრენინგის ბოლოს მონაწილეებს შესავსებად დაურიგდათ ტრენინგის შეფასების კითხვარი, რომელიც მოიცავდა 3 დახურულ და 2 ღია კითხვას. კითხვარი შეავსო 36 - მა მონაწილემ.

დახურული კითხვები ეხებოდა ტრენინგის ორგანიზებას, თემატიკას და გამოყენებულ მეთოდოლოგიას. საკითხები ფასდებოდა ოთხი კატეგორიით - ცუდი, დამაკმაყოფილებელი, კარგი, ძალიან კარგი. მონაწილეებს უნდა აერჩიათ ოთხი შესაძლო პასუხიდან ერთი. თითოეული პასუხი ფასდებოდა 1 ქულით.

ტრენინგის ორგანიზებაზე მონაწილეთა 77.7% (28 ადამიანი) ფიქრობს რომ ძალიან კარგი იყო, 19.6% (7)ფიქრობს, რომ იყო კარგი, 2.7% (1)- დამაკმაყოფილებელი, ცუდად არც ერთ მონაწილეს არ შეუფასებია.

ტრენინგის თემატიკაზე მონაწილეთა 80.5% (29) ფიქრობს რომ ძალიან კარგი იყო, 16.6% (6) ფიქრობს, რომ იყო კარგი, 2.7% (1) - დამაკმაყოფილებელი, ცუდად არც ერთ მონაწილეს არ შეუფასებია.

ტრენინგის ჩატარების მეთოდოლოგია მონაწილეთა 83.3%- მა (30) შეაფასა ძალიან კარგად, 13.8%-მა (5) შეაფასა კარგად, დამაკმაყოფილებლად შეაფასა 2.9% -მა (1), ცუდი შეფასება არცერთ მონაწილეს არ დაუფიქსირებია.

ტრენინგის შეფასების კითხვარში წარმოდგენილ ღია კითხვაზე - თუ რომელი მიმართულებით ისურვებდნენ ცოდნის გაღრმავებას მომავალში, ტრენინგის მონაწილეთა პასუხებით გამოიკვეთა შემდეგი თემები:

- არაფორმალური განათლების აღიარება;
- სტუდენტთა შეფასება;
- პროგრამებისა და სილაბუსების განვითარება;
- სტუდენტთა სტატუსის შეწყვეტისა და შეჩერების წესი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია;
- თვითშეფასებისათვის მონაცემთა შეგროვება.

კითხვაში წარმოდგენილ მეორე ღია კითხვაზე - ტრენინგის შეფასება - პასუხებში მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ტრენინგი საკმაოდ ნაყოფიერი და საჭირო იყო, თემატიკა ძალიან სასარგებლო იყო; საკმაოდ ბევრი ინფორმაცია მიიღეს; ჩატარდა

დროულად და ეფექტურად; მომავალი საქმიანობის ეფექტურად წარმართვაში დიდ დახმარებას გაუწევს; განსაკუთრებით სასარგებლო იყო პრაქტიკული მაგალითები და აქტივობების ჯგუფურად შესრულება. (დანართი - ტრენინგის შეფასების კითხვარის ანალიზი)

რეკომენდაციები:

უახლოეს პერიოდში იგივე ფოკუს-ჯგუფს ჩაუტარდეს ტრენინგი, რომლის სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული იქნება შემდეგი თემების დეტალურად განხილვა: არაფორმალური განათლების აღიარება, სწავლის შედეგების განსაზღვრა და სტუდენტთა შეფასება, პროგრამებისა და სილაბუსების განვითარება.

დანართები:

1. მონაწილეთა სია
2. აქტივობის ორგანიზატორთა/ფასილიტატორთა სია
3. დეტალური პროგრამა/განრიგი
4. ტრენინგის შეფასების კითხვარის ფორმა
5. ტრენინგის შეფასების კითხვარის ანალიზი.

დანართი 5

პროფესიულსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხის უზრუნველყოფის არსებული მექანიზმების შესასწავლი კითხვარი

	კრიტერიუმები	კი	ნაწილობრივ	არა
		2 ქულა	1 ქულა	0 ქულა
1	ხელმძღვანელობა აყალიბებს მისიას და ხარისხის სფეროში პოლიტიკას, სტრატეგიას, მიზნებსა და ამოცანებს			
2	პსდ-ში მოქმედებს ხელმძღვანელობასა და პერსონალს შორის კომუნიკაციების ეფექტური სისტემა			
3	ხელმძღვანელობა პირადად მონაწილეობს პერსონალის პროფესიული დონის და უნარ-ჩვევების ამაღლების სისტემის შექმნასა და სრულყოფაში			
4	ხელმძღვანელობა პირადად მონაწილეობს პსდ-ში ეთიკური ქცევისა და ჯანსაღი გარემოს შექმნაში			
5	პსდ-ში შექმნილია სტუდენტების კმაყოფილების შესახებ ინფორმაციის შეგროვების და ანალიზის ეფექტური მექანიზმები			
6	პსდ-ში შექმნილია კურსდამთავრებულების კმაყოფილების შესახებ ინფორმაციის შეგროვების და ანალიზის ეფექტური მექანიზმები			
7	პსდ-ში შექმნილია დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების კმაყოფილების შესახებ ინფორმაციის შეგროვების და ანალიზის მექნიზმები			

8	პსდ-ში შექმნილია შრომის ბაზრის კვლევის მექანიზმები			
9	პსდ ავითარებს პარტნიორობას და შექმნილი აქვს ქსელები ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან			
10	პერსონალის დაქირავება ხორციელდება წინასწარ დადგენილი პროცედურებისა და კრიტერიუმების საფუძველზე			
11	ხორციელდება პერსონალის კომპეტენციების მონიტორინგი			
12	მოქმედებს პერსონალის პროფესიული განვითარების პროგრამები			
13	შექმნილია უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო, შექმნილია კარგი სამუშაო პირობები			
14	მოქმედებს ხარისხის სფეროში შეტანილი წვლილისთვის პერსონალის დაჯილდოებისა და აღიარების სისტემა			
15	შექმნილია პერსონალის კმაყოფილების შესახებ ინფორმაციის შეგროვების და ანალიზის ეფექტური მექანიზმები			
16	აღწერილია მნიშვნელოვანი ძირითადი და დამხმარე პროცესები			
17	პერსონალი, დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული პირები ჩართულია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვასა და განვითარებაში			
18	ხორციელდება პროგრამების სისტემატური შემოწმება, მათში ცვლილებების შეტანა			
19	უზრუნველყოფილია სხვადასხვა კრიტიკული სიტუაციების პირობებში საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტობა			

20	ხორციელდება თვითშეფასების პროცესი			
21	ხორციელდება თვითშეფასების შედეგების ანალიზი			
22	ხორციელდება სუსტი მხარეების გამოვლენა და მათი გაუმჯობესების გეგმების შემუშავება			
23	გეგმების შესრულების მონიტორინგი			
24	დაწესებულებაში მიმდინარე პროცესები, გამოცდილება აღიარებულია სხვების მიერ როგორც საუკეთესო მაგალითი			
25	დაწესებულებაში ხორციელდება ავტორიზაცია			
26	დაწესებულებაში ხორციელდება პროგრამების აკრედიტაცია			
27	პსდ-ში ხორციელდება ბენჩმარკინგი - შედარებას სხვა ორგანიზაციებთან რეგიონულ ან სახელმწიფო დონეზე			
28	პსდ-ში ხორციელდება ბენჩმარკინგი - შედარება სხვა ორგანიზაციებთან, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე			
29	პსდ-ში ხორციელდება ხარისხის სფეროში მოქმედი მსოფლიოში ცნობილი ორგანიზაციების მიერ სერტიფიცირება /აკრედიტაცია (ISO, EFQM)			